ეროვნული ბიბლიოთეკა





ჩვენი ხალხი დიდი მადლიერების გრძნობით არის გამსჭვალული დაუცხრომელი მშრომელი ქალებისადმი, მოზარდი თაობის შესანიშნავი და მზრუნველი აღმზრდელებისადმი. ჩვენს ქვეყანაში არ არის სამეურნეო, კულტურული, სამეცნიერო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო ცხოვრების ისეთი სარბიელი, სადაც ნაყოფიერად არ შრომობდნენ შესანიშნავი ქალები, სადაც მათ წინაშე გადაშლილი არ იყოს ტალანტისა და ნიჭის გამოვლინების უსაზღვრო შესაძლებლობანი...

საბჭოთა ქალებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 47 (4041) 8 1970 წ. მარტი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

გაზაფხულია. 8 მარტი. ქალთა დღე. საქართველოს ქალები ამ ზეიმს მუდამ სასახელო მაჩვენებლებით ხვდებოდნენ და ეს ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა. 8 მარტი თავისებური შეჯამებაა წლის მანძილზე გაწეული შრომის შედეგისა. ისახება ახალი ამოცანები, რომ კიდევ უფრო დიდი წარმატებები იქნეს მოპოვებული საკოლმეურნეო მინდვრებზე, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, ფაბრიკა-ქარხნებში, აუდიტორიებში, სპორტულ სარბიელზე.

ამ სურათებზე საქართველოს მოწინავე სპორტსმენ ქალთა ერთი ნაწილია აღბეჭდილი. ზედა მარცხენა სურათი გვაცნობს რუსთავის მხატვრული ტანმოვარჯიშეთა სექციის მორიგი მეცადინეობის ერთ-ერთ ეპიზოდს. მეცადინეობას ატარებს მწვრთნელი გ. ცეცაძე.

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა", — ხშირად იტყვის ხოლმე სპორტის ოსტატი ლამარა ტულუში, რომელიც ცდილობს მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება თავის ქალიშვილს ელეონორას გადასცეს. გოგონაც გატაცებით ეუფლება ბადროს ტყორცნის საიდუმლოებას (მარჯვენა ფოტო).

ვალში არც თბილისელი მოცურავე თინათინ ლეკვეიშვილი დარჩა (ქვედა სურათი). ბაქოში გამართულ ზონალურ ტურნირში მან ყველას აჯობა 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში და ქალთა საერთაშორისო დღის წლევანდელ ზეიმს 200 მეტრზე გოგონათა ახალი საკავშირო რეკორდით შეეგება.

ფოტოსურათები კ. დარჩიასი, ბ. ქვათაძისა და ა. გურასაშვილისა.



## პირველი ჩემპიონები

თბილისის ქალთა სპარტაკიადა

8 მარტისადმი მიძღვნილი თბილისის ქალთა XV ტრადიციული სპარტაკიადა ფინიშს უახლოვდება. უკვე გამოვლინდნენ ჩემპიონები ხელბურთსა და მხატვრულ ტანვარჯიშში, სადაც გამარჯვება „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებს ხვდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახეობებში მხოლოდ 3-3 გუნდი ასპარეზობდა. რა არის მიზეზი, რომ „ლოკომოტივისა" და „შრომითი რეზერვების" სპორტსმენებმა თავი აარიდეს ამ საინტერესო ღონისძიებას?

მართალია, საპრიზო ადგილების განაწილება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ გამარჯვებისთვის ბრძოლა „ბურევესტნიკის" და „განთიადის" ხელბურთელთა გუნდებს შორის მეტად საინტერესო გამოდგა. პირველობა წილად ხვდათ სტუდენტებს — 16:9.

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების შედეგები ასეთია: გუნდური — 1. „ბურევესტნიკი" — 256,7 ქულა, 2. თბილისის განათლების განყოფილება — 195,05, 3. „განთიადი" — 88,35; პირადი — 1. მ. ჩიკვაიძე, 2. მ. კერესელიძე, 3. ლ. ზინკოვა (სამივე — „ბურევესტნიკი").

ხ. თიკანაძე.

## 20 წ

◆ ტურინი, 7 მარტი. ფარიკაობაში ევროპის გუნდური თასის გათამაშების ფინალში მოსკოვის „დინამოს" რაპირისტ ქალთა გუნდმა მარცხის სიმწარე იწვნია ბუდაპეშტის „უიპეშტთან" — 8:9. ბოლო 5 წლის განმავლობაში საბჭოთა მოფარიკავე ქალებმა ამგვარ ტურნირში სამჯერ გაიმარჯვეს.

◆ კაირო, 7 მარტი. ოთხივე საბჭოთა ჩოგბურთელის სტარტი არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატში იღბლიანი გამოდგა: პირველ ტურში მეტრეველმა დაამარცხა უნგრელი გუიაში (6:4, 8:6), კოროტკოვმა — ფრანგი დიუკსენი (6:3, 6:1), ვასილიევმა — მასპინძელი მუბარაკი (2:6, 6:2, 6:4), პესჩანკომ — ასევე არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელი სონბოლი (8:6, 6:1).

◆ პარიზი, 7 მარტი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატში IX ადგილი დაიკავა. ბოლო მატჩში მან ანგარიშით 28:12 (11:6) დაამარცხა იაპონიის გუნდი. ბურთები გაიტანეს მაქსიმოვმა (8), პანოვმა (6), კლიმოვმა, მახორინმა (5-5), კოჟუხოვმა (2), ფხაკაძემ და ზდორენკომ.

## სოფლის სპორტსმენთა ზამთრის სტარტები

იგნალინა. დამთავრდა ლიტვის სოფლის სპორტსმენთა ზამთრის სპარტაკიადა, რომელიც ორ თვეს გრძელდებოდა. ასპარეზობის პროგრამაში იყო სათხილამურო რბოლა, ყინულქვეშ თევზაობა, მაგიდის ჩოგბურთი და შაში — ყველაზე პოპულარული სახეობები ლიტვის სოფლებში.

განსაკუთრებით ბევრი მაყურებელი მიიზიდა მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებამ. აქ თავიანთ გუნდებს სათავეში უდგნენ კრეტინგსის რაიონის კოლმეურნეობა „იმბარეს" თავმჯდომარე ა. დრევინსკასი და ვილნიუსის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „პანერისის" დირექტორი ა. იარაშიუნასი.

სათხილამურო ტრასაზე საუკეთესო იყო რესპუბლიკის ნაკრების წევრი, კოლმეურნეობა „შვიტურისის" ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი დ. ტელიჩენაიტე, რომელმაც გაიმარჯვა 5 კმ-ზე. მისმა კარგმა სტარტმა კომბინირებულ ესტაფეტაში მთელ გუნდს გამარჯვება მოუტანა.

სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის დიდი გუნდური პრიზი ტელშიაისკის რაიონის სპორტსმენებმა მოიპოვეს. (საკდესი).

● ესტერსუნდი, 6 მარტი. შვეციის ამ ქალაქის მიდამოებში სტარტი აიღო რკინიგზელ სპორტსმენთა საერთაშორისო კავშირის VIII ჩემპიონატმა. შეჯიბრების პირველი დღე საბჭოთა მოთხილამურეების წარმატებით აღინიშნა: იაროსლაველმა ა. ბერეზინმა ყველას აჯობა 15-კილომეტრიან რბოლაში (შეჯიბრებაში 11 ქვეყნის 42 მოთხილამურე მონაწილეობდა), ხოლო ვერცხლის მედალი მოსკოველ პეჩენიცინს ხვდა.

● რიო-დე-ჟანეირო, 6 მარტი. პელე ამას წინათ გამოჩნდა... ტელევიზორის ეკრანზე. იგი თამაშობს მთავარ როლს მრავალსერიიან სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმში, რომელსაც უკვე სამი თვეა წარმატებით უჩვენებენ ბრაზილიაში. პელე ებრძვის სხვა პლანეტებიდან დედამიწის დასაპყრობად შემოსეულ მტერს. მთავარ გმირს ბრძოლა უხდება არა მარტო მამაკაცებთან, არამედ მაგიური ძალის მქონე არამიწიერ მშვენიერ ქალებთანაც.

## ახალი ამბები

● პარიზი, 6 მარტი. გამოვლინდნენ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები, რომლებიც 8 მარტს გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს. ესენი არიან რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. ნახევარფინალურ თამაშებში მათ შესაბამისად დაამარცხეს დანიელები (18:12) და იუგოსლაველები (17:13). V-VIII ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: შვეცია — ჩეხოსლოვაკია 12:11, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — უნგრეთი 15:13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კომკავშირის XXVIII ყრილობა

# ნ. გაფრინდაშვილის სიტყვა

ამხანაგებო!

ნება მომეცით ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების სახელით მოგესალმოთ საქართველოს კომკავშირის XXVIII ყრილობის დელეგატებს.

ფიზიკური კულტურა და სპორტი სულ უფრო ღრმად იჭრება საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და აქტიურ როლს თამაშობს ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დადგენილებაში ნათლად არის აღნიშნული, რომ: „კომკავშირი მოვალეა იყოს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წამყვანი ძალა, კომკავშირელები კი — ფიზკულტურული მოძრაობის აქტიური მონაწილენი". სწორედ ეს მოწოდება იქცა საქართველოს კომკავშირის სამოქმედო იარაღად, რათა უფრო გაძლიერდეს ზრუნვა ბავშვებისა და ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისთვის, მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის ჯანმრთელობის განმტკიცების სამსახურში ჩაყენებისთვის ახალგაზრდობის შრომისა და თავდაცვისთვის მომზადების მიზნით.

საქართველო თავისი სპორტული მიღწევებით ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა. ასე იყო შარშანაც, როცა ჩვენმა სპორტსმენებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს: ექვსმა მსოფლიოს, სამმა — ევროპის, ხოლო 62-მა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპოვა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსნი არიან ალექსანდრე მეტრეველი, თინათინ ლეკვეიშვილი, დიმიტრი შანიძე, ომარ ფხაკაძე, რომან რურუა, ვიქტორ სანეევი, კახი ასათიანი, რუსუდან სიხარულიძე, ვალერი კლიმენტიევი. ხოლო, როგორც მოჭადრაკემ, არ შემიძლია სიხარულის გრძნობით არ აღვნიშნო ნანა ალექსანდრიასა და ბუხუტი გურგენიძის წარმატებები. რაც მთავარია, ეს წარმატებები მოპოვებულია ენერგიის უდიდესი დაძაბვისა და მძაფრი ბრძოლების ფასად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს გამარჯვება იმიტომაც, რომ ვ. ი. ლენინის იუბილესთვის მზადების პერიოდშია მოპოვებული.

მადლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს ის დიდი მხარდაჭერა და ყურადღება, რომელსაც ჩვენი სპორტსმენები მუდამ გრძნობდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მხრიდან. ეს იქნებოდა შეჯიბრებებისთვის მზადების პერიოდში, თუ თვით ტურნირების დროს. ნაკრებ გუნდებზე მიმაგრებულმა კომორგებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს სპორტსმენთა მომზადებაში. მათი დახმარება ყოველ ჩვენგანს ძალასა და ენერგიას მატებდა მომავალ ბრძოლაში.

ამხანაგებო!

სასკოლო სპორტში არსებულ ნაკლოვანებებზე მთელი სერიოზულობით იყო დასმული საკითხი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ამ აზრს და კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მთავარი როლი ბავშვთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში სკოლას ეკუთვნის. ეს აზრი ახალი არ არის, მაგრამ ჩვენ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებული საკითხი მეტად აქტუალურია და ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, სასკოლო და ბავშვთა სპორტის პრობლემებს ერთობლივად უნდა წყვეტდნენ განათლების სამინისტრო, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება ფიზკულტურელების, მოსწავლე ჩემპიონებისა და რეკორდსმენების რიცხვი, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის, რომ სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივებში ყველაფერი რიგზე არ არის.

ჩვენ გვაღელვებს ფიზიკური აღზრდის დაუფასებლობა, ამ საგნის სწავლებისადმი სუსტი კონტროლი სკოლის დირექტორების, სახალხო განათლების მუშაკთა მხრივ. ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, განსაკუთრებით სოფლად, სასწავლო პროცესი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის აუცილებელი ცოდნისა და ჩვევების გამომუშავებას, არ ქმნის საფუძველს მათი ყოველმხრივი განვითარებისთვის, სუსტ ზეგავლენას ახდენს ბავშვთა ჯანმრთელობაზე. სასკოლო კოლექტივებს შორის შეჯიბრებების ჩატარების არსებული სისტემა აფერხებს მოსწავლეთა შორის მასობრივი სპორტული მუშაობის გაშლას. მასობრივი სპორტის განვითარებისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულება გარკვეულ დაღსასვამს სკოლის ფიზკულტურელთა დაოსტატებას და რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების წარმატებას საკავშირო სარბიელზე.

ზემოაღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ 1969 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში ჩვენი ნაკრები გუნდები პროგრამით გათვალისწინებული 21 სახეობიდან ცამეტში უფრო დაბალი მაჩვენებლებით გამოვიდნენ, ვიდრე 1967 წლის სპარტაკიადაში.

აქვე თუ დავუმატებთ, რომ რესპუბლიკის ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მწვავედ დგას სპორტული ბაზების საკითხი, მაშინ ნათლად გამოჩნდება ის მიზეზები, რომლებიც ბავშვთა სპორტის განვითარებას ამუხრუჭებენ.

ითვალისწინებდნენ რა ბავშვთა და სასკოლო სპორტში შექმნილ მდგომარეობას, საქართველოს განათლების სამინისტროსა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიებმა სათანადო ღონისძიებები დასახეს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ჩვენი აზრით, სწორედ კომკავშირმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები და იზრუნოს, რათა კონკრეტულად შესწავლილ იქნას თითოეული რაიონი, სოფელი. გავიგოთ რა შეიძლება გაკეთდეს კომკავშირელთა ძალებით. საჭიროა სპორტული მოედნების მშენებლობაში მივიზიდოთ სკოლების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კომკავშირელები. თუ უახლოეს წლებში გადავწყვეტთ ამ ამოცანას, ერთდროულად (ამასთან, ცხადია, გადაწყდება მეორე საკითხიც) მივაღწევთ მოსწავლეთა ფიზიკური კულტურის მაღალ დონეს და მასობრიობას.

როცა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში რესპუბლიკის კომკავშირის როლზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა სოფლის ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაში. სწორედ აქ გამოჩნდა ყველაზე ნათლად კომკავშირის ორგანიზატორული ინიციატივა და წარმმართველი როლი. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობას ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს სოფლის სპორტსმენთა მიღწევები სოფლის ახალგაზრდობის I საკავშირო თამაშებში, სადაც მათ III საპრიზო ადგილი დაიკავეს.

სოფლის სპორტს დიდი მომავალი აქვს. ფიზიკურ კულტურაში რეგულარულად მეცადინეობა ამაღლებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომისნაყოფიერებას, უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდება მათი ყოველდღიური ცხოვრება, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს სოფლად ახალგაზრდობის შენარჩუნებას.

მაგრამ ამ საქმეში ყველაფერი რიგზე როდია. არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობას. მაგალითად, ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილის საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტად დაინიშნა ამხ. შირხანიანი, რომელიც მასობრივ სპორტულ მუშაობას ენერგიულად ჩაუდგა სათავეში. აღნიშნული მეურნეობის ფიზკულტურელები რაიონულ პირველობაში გარკვეულ წარმატებას აღწევდნენ მთელ რიგ სახეობებში. 1969 წელს წყალთბილის საბჭოთა მეურნეობის დირექციისა და პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხ. შირხანიანი მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს, მაგრამ ფიზკულტურის მეთოდისტის მოვალეობიდან არ გაუთავისუფლებიათ. შირხანიანი ირიცხებოდა ფიზკულტურის მეთოდისტის შტატზე და კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოვალეობას ასრულებდა, რაც ყოველგვარ კანონს ეწინააღმდეგება. ამის შედეგი იყო, რომ წყალთბილის მეურნეობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მთლიანად ჩაიშალა.

სულ სხვა სურათია მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობაში. სპორტის სასახლის გარდა აქ შენდება სპორტნაგებობების კომპლექსი: 5000-ადგილიანი სტადიონი, ჩოგბურთისა და კალათბურთის მოედნები, ტირი. მოსწავლეებისთვის იხსნება სპორტული სკოლა, სისტემატურად მუშაობენ სექციები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სათანადო ინვენტარით. სამაგიეროდ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოს კოლმეურნეობაში უმარტივესი ტიპის სპორტული ბაზაც კი არ არის. ფიზკულტურელებს უჭირთ ინვენტარის, ფორმის შეძენა, რადგან მთელი 1969 წლის მანძილზე სოფლის მაღაზიაში არ ქონიათ არც ერთი ბურთი, არც ერთი მაისური, რომ არაფერი ვთქვათ ჭადრაკზე, შაშზე და სხვა სპორტულ ინვენტარზე. სამაგიეროდ, ამ ხნის მანძილზე მაღაზიამ გაყიდა 500 ბოთლზე მეტი სპირტიანი სასმელი და გეგმაც გადაჭარბებით შეასრულა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სპორტინვენტარითა და ფორმით მომარაგებაში ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკის მრავალ სოფელსა და რაიონში. როგორც ჩანს, ცეკავშირის გამგეობის ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ ჩვენი ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე და ფიზიკურ განვითარებაზე. რაც მთავარია, ისინი სათანადოდ არ ასრულებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ მიღებულ დადგენილებას.

კოლმეურნეთა III საკავშირო ყრილობამ მიიღო სანიმუშო წესდება, რომლის პროგრამაშიც წერია: „კოლმეურნეობა ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენს კოლმეურნეთა და მათი ოჯახების წევრების ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის და ფიზიკური აღზრდისთვის, აშენებს და აწყობს სპორტულ ნაგებობებს, ხელს უწყობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას".

ახლა სოფლის სპორტს მყარი საფუძველი შეექმნა. ეს დიდი მხარდაჭერაა ყველასთვის, ვისაც კი უყვარს სოფელი და გული შესტკივა მის მომავალზე. წესდების ეს სტრიქონები დიდ გასაქანს აძლევენ, პირველ ყოვლისა, ჩვენს კომკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებს.

ამ ბოლო დროს რამდენადმე გამოსწორდა სპორტის პროპაგანდის მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში. ეს ერთნაირად ეხება როგორც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, ასევე რადიოსა და ტელევიზიას. მაგრამ სასაყვედურო მაინც გვაქვს. გაზეთებში ნაკლებად გვხვდება ადგილობრივი ავტორების მიერ დაწერილი საინტერესო, კვალიფიციური მასალები. განსაკუთრებით იშვიათია წერილები ფიზკულტურის პრობლემებზე. ვფიქრობთ, რომ ამ მხრივაც უნდა მიბაძონ ჩვენმა გაზეთებმა „პრავდასა" და „იზვესტიას". უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულ პრესაში უფრო ხშირად ს. ფლორის გვარს ვკითხულობთ, ვიდრე ჩვენი, ქართველი ჟურნალისტებისას. რაც მთავარია, ეს მხცოვანი დიდოსტატი და ჟურნალისტი საქართველოს საჭადრაკო ცხოვრებაზე ზოგჯერ უზუსტო მასალებს გვთავაზობს.

კიდევ ერთი საკითხი. ტელევიზიით ხშირად აწყობენ გადაცემებს ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გადაცემები ბევრჯერ არაკვალიფიციურია. მიზეზი ალბათ ისაა, რომ გადაცემებს სპორტის სპეციალისტების კონსულტაციის გარეშე ამზადებენ სხვადასხვა რედაქციაში. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება შეიქმნას ერთი — სპორტული რედაქცია, რომელიც საქმის მცოდნე თანამშრომლებით უნდა დაკომპლექტდეს.

ამხანაგებო!

ახლა, როდესაც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე მხოლოდ ერთი წელი დარჩა, საჭიროა დროულად და საქმიანად შევუდგეთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და ნაკრები გუნდების სათანადოდ მომზადებას. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ, როგორც იტყვიან, კარსაა მომდგარი მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები. მოგეხსენებათ, რომ ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობა ძალიან ძნელია. ამ საკითხზე ამთავითვე უნდა ვიფიქროთ.

დასასრულს მინდა დავარწმუნო ყრილობის დელეგატები და ყველა, ვისაც კი გული შესტკივა ქართული სპორტისთვის, რომ საქართველოს სპორტსმენები ძალასა და ღონეს არ დაიშურებენ, რათა ღირსეულად დაიცვათ და ვამრავლოთ ჩვენი რესპუბლიკის დიდება.



# ათიდან 9 საპრიზო ადგილი

ამ ბოლო ხანს სამბოს ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდა სოფლის სპორტსმენთა შორის. ამის დადასტურებაა ისიც, რომ ყოველწლიურად იმართება სოფლის სამბისტთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. წლევანდელი ასპარეზობის მასპინძელი კიროვაკანი იყო. შეჯიბრებაში, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, ჩემპიონობა მოიპოვა ოთხმა ქართველმა ფალავანმა: ნ. ყირიმელმა, გ. ბალხამიშვილმა, კ. ტატულაშვილმა და გ. ონაშვილმა. დანარჩენი ექვსი მონაწილიდან ჯ. წიქარიძემ, ვ. იაშვილმა და ჯ. ნიჟარაძემ II საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს, ლ. ბეინაშვილმა და ო. ჯილავდარმა — III.

ამ წარმატებით საქართველოს მოჭიდავეებმა გუნდური I ადგილი და თასი გაინაღდეს. II ადგილი წილად ხვდათ რსფსრ-ს, III — სომხეთის წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, რომ „კოლმეურნის" ნაკრები გუნდი, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა, ძირითადად, კასპის, საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონების ფალავნებით იყო დაკომპლექტებული.

თ. გაჩეჩილაძე.

• • •

სურათზე: სოფლის სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული საქართველოს გუნდი — დგანან (მარცხნიდან): ლ. კაციაშვილი (მწვრთნელი), გ. ბალხამიშვილი, ვ. იაშვილი, ჯ. წიქარიძე, ჯ. გუთნიაშვილი, ნ. ყირიმელი, ლ. ბეინაშვილი, ბ. ქვირია (მწვრთნელი); პირველ რიგში — კ. ტატულაშვილი, გ. ონაშვილი, ჯ. ნიჟარაძე, ო. ჯილავდარი.

# თელაველთა საპატიოდ

ამას წინათ თელავში ჩატარდა ტანმოვარჯიშეთა XVI რესპუბლიკური ტურნირი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ თასზე. გასულ წლებში მსგავსი შეჯიბრებები უნდა გამართულიყო ქუთაისსა და ბათუმში, მაგრამ მათი ჩატარება ვერ მოხერხდა ბაზების მოუმზადებლობის გამო. წლეულს თელავის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, სპორტული სკოლის დირექციამ ბევრი იშრომეს, რომ ასპარეზობა მაღალ დონეზე გამართულიყო. შეჯიბრების მონაწილეებს ძალიან მოეწონათ ოლიმპიური იარაღებითა და დამხმარე სათავსოებით აღჭურვილი სპორტული დარბაზი.

ასპარეზობის კარგად მოწყობაში დიდი დახმარება გაგვიწიეს თელავის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თელაველი გულშემატკივრების ინტერესი, რომელიც მათ შეჯიბრების მიმართ გამოიჩინეს.

ტურნირის შემდეგ გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები ცალკეული იარაღებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ რ. სიხარულიძე, ა. ნოზაძე, რ. ბერიკაშვილი, მ. მონიავა, ნ. დრონოვა და სხვ.

გ. ბაბილოძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

• • •

**ტექნიკური შედეგები**

**გუნდური.** I ჯგუფი. 1. თბილისი — 335 ქულა, 2. ქუთაისი — 132, 3. აჭარა — 96. II ჯგუფი. 1. გორი, 2. სამტრედია, 3. თელავი.

**პირადი.** გოგონები. ოსტატთა პროგრამით. 1. რ. სიხარულიძე (აჭარა), 2. მ. მონიავა, 3. ქ. კობერიძე (ორივე — თბილისი); ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით. 1. ნ. დრონოვა, 2. მ. ფხაკაძე, 3. ე. ვასილიევა (ყველა—თბილისი). ჭაბუკები. ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით. 1. მ. კვინიკაძე (ქუთაისი), 2. ვ. ჰილლაძე (გორი), 3. ნ. ფაჩულია (თბილისი); მოზრდილთა I თანრიგის პროგრამით. 1. ვ. სოკოლოვი, 2. კ. ლაშხი, 3. გ. ტერტეროვი (ყველა — თბილისი); ჭაბუკთა I თანრიგის პროგრამით. 1. ი. იაკობაშვილი, 2. ა. თარაშვილი (ორივე — გორი), 3. თ. ქურდაძე (ხაშური).

# 0:0

**ბაზრა, 6 მარტი (ჩვენი კორ.).** აქ გაიმართა თბილისისა და მინსკის „დინამოს" თანაკლუბელთა გუნდების საწვრთნელი მატჩი.

თბილისელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრები, რომლებიც სულ ახლახან დაბრუნდნენ უცხოეთის ტურნედან. მიუხედავად ამისა, თბილისელმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს მეტოქის დამარცხება და დასჯერდნენ ფრეს — 0:0.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ხინჩიკაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ქარქაშაძე.




# „ბ" კლასში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა 1970 წლის საკავშირო გათამაშების დებულება „ბ" კლასის გუნდებისთვის.

გათამაშების მონაწილენი დაყოფილი არიან ექვს ზონად. სულ მასში მონაწილეობას მიიღებს 106 გუნდი: 68 — რსფსრ-დან, 28 — უკრაინიდან, 12 — ყაზახეთიდან, 11 — უზბეკეთიდან, 9 — საქართველოდან, 4 — სომხეთიდან, 3 — აზერბაიჯანიდან, 2-2 — ბელორუსიის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის რესპუბლიკებიდან და თითო — ლატვიიდან, ლიტვიდან და მოლდავეთიდან.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდების ზონის დებულება გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი




# ექვსი აბზაცი, ექვსი კომენტარი

ყოველ კალენდარულ დღეს ორი ცენტრალური მატჩი — ეს არც ბევრია, არც ცოტა, გულშემატკივრებმა კი ზუსტად იციან, როდის ჯობს დარბაზში მისვლა და როდის შეიძლება ნაწილობრივ მაინც დაისვენო. მაგრამ კალათბურთშიც ხშირად ირღვევა კანონზომიერება.

„სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 91:58 (40:28)

პირველი წრე — 102:78 „სპარტაკის" სასარგებლოდ

სვერდლოვსკელთა წინააღმდეგ თამაშის რამდენიმე „ცნობილი ვარიანტი" არსებობს. ჩვენი აზრით, ყველაზე ეფექტურია ის, რომელიც პირველ ყოვლისა კანდელის ნეიტრალიზაციისკენაა მიმართული. „სპარტაკმა" თავიდანვე კურსი მეტოქის სრული განიარაღებისკენ აიღო და თამაშიდან გამოთიშა მისი ლიდერი. ეს „სპარტაკმა" საოცარი სიზუსტით და ოსტატობით შეასრულა. გეგმის განხორციელება უმთავრესად მიენდო ახალგაზრდა ა. ბელოვს — ფენომენალური მონაცემების მქონე კალათბურთელს, რომელმაც მოკლე დროში წარმატებით დაძლია გზა რიგითი ოსტატიდან ნაკრების ძირითად წევრამდე. ბელოვმა ადვილად მოთოკა კანდელი და მას, ყოველი შემთხვევისთვის, კოვალიოვიც მიაყოლა. დანარჩენი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ტექნიკის საქმე იყო და „სპარტაკმაც" თავისი უპირატესობა სოლიდურ მათემატიკურ სხვაობად აქცია.

„კალევი" (ტარტუ) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 81:86 (51:39)

პირველი წრე — 88:76 „კალევის" სასარგებლოდ

კანონზომიერება პირველად სწორედ აქ დაირღვა: მეორეხარისხოვანი მატჩი სრულიად მოულოდნელად ცენტრალურ შეხვედრად იქცა. ესტონელი კალათბურთელები, რა თქმა უნდა, იოლ გამარჯვებას არ ვარაუდობდნენ, მაგრამ არც იმას ფიქრობდნენ, რომ მეორე ტაიმში ალესილ დანის პირზე მოუხდებოდათ ბალანსირება და უსიამოვნო შედეგს რაღაც სასწაულით გადურჩებოდნენ. „კალევი" თბილისიდან ტურმა მორალურად გატეხა. გუნდს, როგორც ჩანს, სულ სხვა გეგმები ჰქონდა (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოტოვებული მატჩი მოუგო თბილისის „დინამოს") და შექმნილმა სიტუაციამ იგი ჩვეული რიტმიდან ამოაგდო. წონასწორობიდან გამოსულმა „კალევმა" აუტსაიდერთან ბრძოლაში ბევრი ელემენტარული შეცდომა დაუშვა და ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა შეხვედრა, ძველი გვარდია (ლიპსო, ლეპმეტსი, ტომსონი) ღირსეულად რომ არ დახვედროდა ხიფათს.

„დინამო" (მოსკოვი) — ასკ (რიგა) 78:75 (35:38)

პირველი წრე — 93:78 „დინამოს" სასარგებლოდ

მეორე წელია, რაც „დინამოს" პოტენციალს ალტაცებაში მოჰყავს კალათბურთის სპეციალისტები. მაგრამ ასევე მეორე წელია, რაც გუნდს არაფერი განსაკუთრებული არ შეუქმნია. ყოველ შემთხვევაში, მისი სატურნირო მდგომარეობა ბოლო ორ სეზონში უფრო მეტად არადამაკმაყოფილებელია, ვიდრე დამაკმაყოფილებელი. პოტენციალი პოტენციალია, მაგრამ თამაშის ძირითადი არსი მაინც გამარჯვებაა. „დინამოს" კი ნებისმიერ მეტოქესთან სწორედ გამარჯვება უჭირს. აი, რიგელებთან მატჩში „დინამოს" შემადგენლობაში ჰყავდა სოლოგუბი (200 სმ), იზმაილი (201 სმ), პეტროვი (211 სმ), ნიკიტინი (210 სმ) და ბალაშოვი (205 სმ). ჰყავდა, აგრეთვე, სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი გამთამაშებელი ზასტუხოვი (სოლოგუბიც და ბალაშოვიც ნაკრების წევრები არიან). არმიელთა კოლექტივმა ამ უძლიერეს ექვსეულს დაუპირისპირა ვეტერანი ეგლიტისი, რამდენიმე საშუალო მონაცემების მქონე კალათბურთელი და კინაღამ გაიმარჯვა. როგორც ჩანს, კალათბურთში ვარსკვლავები ისე არ ბრწყინავენ, თუ ცა კარგად არ არის მოწმენდილი. ალბათ, როდესმე „დინამოს" ცაც მოიწმინდება და პოტენციალი რეალურ ძალად გადაიქცევა. მანამდე კი ძლიერი გუნდი მოვლენებს კუდში მიჰყვება.

ცსკა — „ჟალგირისი" (კაუნასი) 98:59 (56:32)

პირველი წრე — 82:70 ცსკა-ს სასარგებლოდ

ესეც მეორე დარღვეული კანონზომიერება: ლიდერთა მატჩი, რომელსაც ასე მოუთმენლად ველოდით, ფაქტიურად, მეოთხე კალენდარული დღის ყველაზე უინტერესო შეხვედრა გამოდგა. კოლექტივმა, რომელიც სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას, 39 ქულით დაამარცხა გუნდი, რომელიც იმავე სატურნირო იერარქიაში მას მხოლოდ ერთი საფეხურით ჩამორჩება. ეს თავისთავად უსიამოვნო ფაქტია „ჟალგირისისთვის", მაგრამ იგი, ამავე დროს, შესაძლოა საერთო განგაშის სიგნალად გადიქცეს, ვინაიდან ასეთი დიდი სხვაობა ლიდერთა ოსტატობაში კალათბურთის ცალმხრივი განვითარების მაჩვენებელი იქნება. მაგრამ ლიტველთა გუშინწინდელი მარცხი, ჩვენი აზრით, პირველ ყოვლისა მათივე ცუდი თამაშის შედეგია. რაც შეეხება ცსკა-ს, მან კარგად გამოიყენა შექმნილი სიტუაცია და ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა თავის ჩემპიონურ წარმოშობას.

ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 71:64 (35:21)

პირველი წრე — 71:67 ასკ-ს სასარგებლოდ

ჩვენ აღარ შევუდგებით მარჩიელობას, ღირდა თუ არა „ბურევესტნიკისთვის" ტარტუს „კალევთან" და კიევის „სტროიტელთან" მთელი ძალით თამაში. შესაძლოა ღირდა იმიტომ, რომ გუნდმა ირწმუნა თავისი ძალა, უნარი, შესაძლოა არც ღირდა, ვინაიდან კიევის არმიელებთან ბრძოლისთვის კოლექტივი უფრო დასვენებული იქნებოდა. ასეა თუ ისე, თბილისელთა თამაშს გარკვეული დაღი დაასვა წინადღის მძიმე და მომქანცველმა ბრძოლამ და „ბურევესტნიკმაც" ნერვულ შოკს მხოლოდ მაშინ დააღწია თავი, როცა შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო.

„დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი) 81:80 (43:38, 69:69)

პირველი წრე—97:76 „სტროიტელის" სასარგებლოდ

კიდევ ერთი ასეთი მატჩი და თბილისის სპორტის სასახლე დაემსგავსება დიდ საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებას გულის დაავადებათა განხრით. ადრე, სანამ გუნდი ფორმაში არ იყო, ბედს შერიგებული გულშემატკივრები მშვიდად იტანდნენ ყოველგვარ უსიამოვნებას და მომავლის იმედით ცხოვრობდნენ. ახლა დრო შეიცვალა: „დინამომ" აღიდგინა საბრძოლო სული, ხასიათი და გაიუმჯობესა საერთო მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მაყურებელთა ემოციური მიდგომა მისი ყოველი გამოსვლისადმი. ერთი სიტყვით, „დინამო" ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს წინ აღუდგა მთელი თავისი ღირსებებით. რა თქმა უნდა, მუდამ შეიძლება კამათი ამა თუ იმ კონკრეტულ ეპიზოდზე, შეიძლება დავა ცალკეულ მოთამაშეთა შეცვლაზეც, საჯარიმო სროლაზე უარის თქმის სისწორეზე და ა. შ., მაგრამ თვით ფაქტი გამარჯვებისა, როცა ამის იმედი თითქოს გადაწურული იყო, უდავოა და მისასალმებელი. 39 წუთი მასპინძლების უპირატესობით აღინიშნა, თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე კი „სტროიტელის" გამარჯვება არ იწვევდა ეჭვს. მაგრამ ვალტინმა, რომელიც საჯარიმოს საერთოდ არ აცდენს, ორიდან მხოლოდ ერთი სროლა გამოიყენა და ამით „დინამოს" დამატებითი 5 წუთის შანსი მისცა. მიკროტაიმში „სტროიტელმა" 11 ქულა აიღო, „დინამომ" — 12 და შეხვედრის ბედიც ამ ერთმა ქულამ გადაწყვიტა. ასეთია ორსაათიანი დრამატული ბრძოლის ძირითადი მომენტები (ვრცლად იგი ტელემაყურებლებმაც ნახეს). შეხვედრის შემდეგ „სტროიტელის" ერთ-ერთმა წევრმა ნაღვლიანად თქვა: საკანდელიძე რომ არ ყოფილიყო, უეჭველად გავიმარჯვებდით. საკანდელიძემ მართლაც ივარგა, მაგრამ სხვებსაც ნუ დავუკარგავთ ამაგს: „დინამომ" ამ დღეს ნამდვილად დაიმსახურა ქება.

ნ. გუგუშვილი.



სურათზე: ლიტველთა ლიდერი პაულაუსკასი (მარცხნივ) და მოსკოვის არმიელი ანდრეევი საჯარიმო სროლის მოლოდინში თვალს არ აცილებენ კალათს. ვინ იცის, ეგებ სროლა უზუსტო გამოდგეს.

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები: „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) — „სტროიტელი" (კიევი) 79:87 (32:45), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 95:75 (51:38). „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ასკ (კიევი) 80:57 (44:32), „დინამო" (მოსკოვი) — „კალევი" (ტარტუ) 75:72 (38:35), „ბურევესტნიკი" (თბილისი)—ცსკა 70:93 (27:40).

თბილისის „დინამოსა" და რიგის არმიელთა შეხვედრა გვიან საღამოს დამთავრდა.

## დღეს

გაიმართება შემდეგი მატჩები: 10.30. „ურალმაში" — „ლოკომოტივი", 12.45. ასკ (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი), 14.30. „კალევი"—„სპარტაკი", 16.15. „სტროიტელი" — „ჟალგირისი", 18.00. ასკ (რიგა) — „ბურევესტნიკი" (თბილისი), 19.45. ცსკა — „დინამო" (თბილისი).



სურათზე: ისინი ლანდებივით დასდევდნენ ერთმანეთს. ამჯერად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა საკანდელიძე და სროლისთვის მოემზადა. გლადუნი („სტროიტელი") ყოველნაირად ცდილობს აღუდგეს მეტოქის განზრახვას.



სურათზე: მოსკოვის „დინამოსა" და რიგის არმიელთა შეხვედრის მომენტი. მოემზადა თუ არა სროლისთვის ლატვიელი კალათბურთელი ზაბელო, უმალვე სამი დინამოელის გარემოცვაში აღმოჩნდა.

ფოტოსურათები ა. კოტორაშვილისა.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 19 | 17 | 2 | 1599—1317 | 17 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 20 | 15 | 5 | 1582—1524 | 15 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 20 | 14 | 6 | 1584—1428 | 14 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 20 | 14 | 6 | 1582—1386 | 14 |
| „კალევი" (ტარტუ) | 20 | 13 | 7 | 1678—1583 | 13 |
| „დინამო" (თბილისი) | 20 | 12 | 8 | 1552—1584 | 12 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 19 | 10 | 9 | 1575—1530 | 10 |
| ასკ (კიევი) | 20 | 8 | 12 | 1454—1462 | 8 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 20 | 6 | 14 | 1451—1617 | 6 |
| ასკ (რიგა) | 20 | 4 | 16 | 1424—1580 | 4 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 20 | 3 | 17 | 1480—1704 | 3 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 20 | 3 | 17 | 1444—1636 | 3 |

# ოთხ დისტანციაზე

სოხუმში ჩატარდა მძლეოსნური კროსი ქალაქის პირველობაზე. ქალიშვილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 500 მეტრზე რბენაში. პირველობა არავის დაუთმო გორკის სახელობის პედინსტიტუტის ფიზკულტურისა და სპორტის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა ნ. ვედენეევამ — 1.45,0. II და III ადგილები შესაბამისად ხვდათ ამავე ინსტიტუტის სტუდენტებს ე. მუხინას და ე. ლემონჯავას.

ვაჟთა შორის 1000 მეტრზე რბენაში იმარჯვა დინამოელმა გ. სააკიანმა — 3.20,0, II ადგილზეა ო. თოლორდავა („განთიადი"), III — ს. ჩხეიძე („სპარტაკი").

3000 მეტრზე ასპარეზობაში თავი ისახელა ა. დმიტრიევმა („დინამო"), 5000 მეტრზე—სტუდენტმა ა. ტრუშჩოვმა.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს „დინამოს" წარმომადგენლებმა. II ადგილი დაიკავეს პედინსტიტუტის სტუდენტებმა, III — სპარტაკელებმა.

დ. შონია,
გორკის სახელობის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

[illegible]

✦ ჩოხატაური

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა რაიონის მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა, რომელშიც 22 კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა. თითოეულ გუნდში 2 ვაჟი და 1 ქალი იყო. ფინალურ ტურნირში 6 გუნდი შეხვდა ერთმანეთს. რაიონის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ხიდისთაველებმა (ვ. სიხარულიძე, გ. მეგრელაძე, ნ. დოლიძე).

დ. გურგენიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლ. პახომოვასა და ა. გორშკოვის ტრიუმფი

ლიუბლიანა, 8 მარტი. ტივოლის სპორტის სასახლეში დღეს აურაცხელი მაყურებელი მოვიდა — ყველა მოუთმენლად ელოდა ყინულზე სპორტულ ცეკვებში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მაძიებელთა გამოსვლებს. საყოველთაო ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ სავალდებულო პროგრამის შემდეგ ევროპის ჩემპიონები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი, რომლებიც ინგლისური სკოლის საუკეთესო წარმომადგენლების, ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონების დ. ტაულერისა და ბ. ფორდის პროფესიონალებში გადასვლის შემდეგ ერთხმად იყვნენ აღიარებული უძლიერეს წყვილად დედამიწაზე, II ადგილზე აღმოჩნდნენ — 248,5 ქულა (ადგილების ჯამი — 15). ლიდერობა ხელთ იგდეს ამერიკელებმა დ. შვომეიერმა და დ. სლადკიმ — 250,0 (14).

დღევანდელი შეჯიბრება მართლაც საოცრად ლამაზ სპექტაკლად წარმოუდგა მაყურებლებს. მაგრამ მთავარი მაინც უაღრესად მწვავე ჭიდილი იყო, რომელიც ზემოაღნიშნულ ორ დუეტს შორის გაჩაღდა.

შვომეიერმა და სლადკიმ უაღრესად მაღალ ტემპში, უზადო ოსტატობით და ექსპრესიით შეასრულეს ვარჯიში და ბევრს ეგონა, რომ ოქროს მედლების ბედი გადაწყვეტილი იყო.

მაგრამ პახომოვასა და გორშკოვს ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა. მოსკოველთა დუეტმა ჭეშმარიტად წარმოუდგენელი სინქრონულობით, შემოქმედებითი შთაგონებითა და უბადლო ხელოვნებით იცეკვა და, როცა სამსაჯო ტაბლოზე მათი შემფასებელი ციფრები აინთო, ყველაფერი ნათელი შეიქნა — პახომოვა და გორშკოვი პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები.

საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე დადგნენ შვომეიერი და სლადკი.

ბრინჯაოს მედლები დამსახურებულად მოიპოვეს გფრ-ის წარმომადგენლებმა ა. და ე. ბუკებმა.

დიდ წარმატებას მიაღწიეს მოსკოველებმა ტ. ვოიტიუკმა და ვ. ჟიგალინმა, რომლებმაც IV ადგილი დაიკავეს.

* * *

სურათზე: ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა.





## ფინიშის წინ

ფოთი, 7 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაში დასკვნითი 5 ტურის წინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

გურგენიძემ საუცხოოდ გამოიყენა მიქაძის უზუსტო თამაში და გაიმარჯვა. ჩეჩელიანთან მას დიდი პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მოგების რეალური გზა არ ჩანდა. ამიტომ გურგენიძე მეტოქის პოზიციის დასუსტებას შეუდგა და ბოლოს გაიმარჯვა კიდეც. იზვოზჩიკოვთან გურგენიძეს იმდენად უარესი მდგომარეობა ჰქონდა, რომ შეუპოვარი წინააღმდეგობითაც ვერაფერს გახდა — პირველი მარცხი იწვნია.

უბილავამ მოუგო ჩეჩელიანს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა გიორგაძესთან.

გიორგაძემ ჯინჯიხაშვილთან გამოტოვებული პარტია ითამაშა, მაგრამ წარუმატებლად: გაიმარჯვა ჯინჯიხაშვილმა. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი დამარცხდა ჩეჩელიანთან.

სხვა გადადებული და გამოტოვებული პარტიები არ გათამაშებულა.

ვინაიდან ტალი 10 მარტისთვის მოსკოვში, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შეკრებაზე უნდა იყოს, იგი წინასწარ (გუშინ და გუშინწინ) შეხვდა ჩიქოვანს, ლევინს, ჯანოევს, ბოკუჩავას და ყველა შეხვედრაში გაიმარჯვა.

10 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: მ. ტალი — 10 ქულა 13-დან, ბ. გურგენიძე — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, რ. ჯინჯიხაშვილი — 7,5, ე. უბილავა — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია.

პირველ სამ ადგილზე გასული მოჭადრაკეები სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშებენ.

ი. ლოლუა,
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## ქედლების თოვლიან ბილიკებზე

ხულოს რაიონის სოფელ ქედლების თოვლიან ბილიკებზე ორ დღეს გრძელდებოდა „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ პრიზზე. სტარტზე გამოვიდა ქედის, შუახევის, ხულოსა და ბათუმის რაიონების 50-მდე მოთხილამურე.

5 კმ-ზე მორბენალ ქალიშვილებში აჭარის ნაკრები გუნდის წევრი ქ. ჯიმშერაძე (ხულო) სტარტიდანვე დაწინაურდა და ფინიშზეც პირველი იყო — 20.55. მეორე დღეს მანვე მოიგო 10 კილომეტრზე რბენა — 43.50. ამავე დისტანციაზე ქალთა ასპარეზობაში ყველას აჯობა ნ. ქედელიძემ (ხულო) — 48.50.

10 კილომეტრზე ჭაბუკთა რბოლაში ტოლი არ ჰყავდა ლ. ჯორბენაძეს (ხულო) — 49.45. ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 15 კილომეტრზე. გაიმარჯვა ბ. ფუტკარაძემ (შუახევი) — 55.03.

საერთო გუნდური I ადგილი ხულოს რაიონის მოთხილამურეებმა მოიპოვეს. II ადგილზე არიან შუახეველი სპორტსმენები, III — ქედის რაიონის წარმომადგენლები.

ო. ბურვანიძე.

ხულო.

## ცსკა — „აკადემიკი“

საფრანგეთის „კლერმონის“ კალათბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების დამატებით, მესამე მატჩში (ნეიტრალურ მოედანზე) მარცხის სიმწარე იწვნია სოფიის „აკადემიკთან“ — 54:55 (29:24). ამ გუნდების შეხვედრებმა საფრანგეთსა და ბულგარეთში გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

ახლა გათამაშების ნახევარფინალში „აკადემიკი“ სსრ კავშირის ჩემპიონს — რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდს ეთამაშება.

**კალათბურთი**



△ პარიზი. ადგილობრივ დარბაზში გამართულ მძლეოსნურ საერთაშორისო ტურნირში ე. ლუნგრენმა (შვეცია) 300 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ახალი მიღწევა დაამყარა — 38,3 წამი აჩვენა. II ადგილზეა ე. ტელიე — 38,5, III — 400 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი ჟ. ბესონი (ორივე — საფრანგეთი) — 38,7.

## შემადგენლობა დადგენილია

მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპული ჩემპიონატის (მოსკოვი, 1-8 აპრილი) პირად შეჯიბრებაში სსრ კავშირი მასპინძლის უფლებით 20 სპორტსმენს გამოიყვანს. საბჭოთა გუნდი ამ ასპარეზობაში ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება. მას სათავეში ჩაუდგებიან ქვეყნის ამასწინანდელ ჩემპიონატში (კურგანი) გამარჯვებულები — მოსკოველები სვეტლანა გრინბერგი და ა. ამელინი. სსრ კავშირის ჩემპიონი ქალთა შორის მომავალი პირველობის მეორე მონაწილესთან, მოსკოველ ზ. რუდნოვასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონიცაა წყვილთა და გუნდურ ასპარეზობაში. რუდნოვამ და მისმა თანაქალაქელმა ს. გომოზკოვმა მოსკოვის სპორტის სასახლეში უნდა დაიცვან ევროპის ჩემპიონთა ტიტულები შერეულ წყვილთა თანრიგში, რომელიც 2 წლის წინ საფრანგეთის ქალაქ ლიონში მოიპოვეს.

სსრ კავშირის ნაკრებში შეყვანილი არიან, აგრეთვე, ქვეყნის ექს-ჩემპიონი, ბაქოელი რ. პოლოსოვა, სსრ კავშირის ბოლო პირველობის ვერცხლის პრიზიორი, კაუნასელი ა. სკარულენე და მისი თანაქალაქელი ა. გედრაიტიტე; მოსკოველები ბ. ანისიმოვა და ლ. გრიშინა, ე. გოლუბკოვა მოსკოვის ოლქიდან; სსრ კავშირის ექს-ჩემპიონები — ბათუმელი ს. სარხოიანი და მოსკოველი დ. ბროდსკი, რიგელი უ. ეგლიტისი, ერევნელი ფ. ფილოსიანი და ომსკელი გ. სტრელნიკოვი.

ევროპის ჩემპიონატში გამოვა ახალგაზრდა მზარდი ოსტატების მთელი ჯგუფიც. ნაკრების მესვეურები აპირებენ დიდ ბრძოლაში გამოსცადონ ისინი.

ასპარეზობის ორგანიზატორები უკვე ამთავრებენ მზადებას პატარა ჩოგნის ოსტატთა ფორუმისთვის. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი უკვე 22 ქვეყნის სპორტსმენებმა გამოთქვეს.

9 მარტს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში მაგიდის ჩოგბურთის ევროპის კავშირის ხელმძღვანელთა — ი. შლაფის (გფრ), ვ. ვებრას (ჩეხოსლოვაკია) და ნ. ევანსის (ინგლისი) თანდასწრებით მოეწყობა პირველობის პირადი და გუნდური ტურნირების მონაწილეთა კენჭისყრა. (საკდესი).

## გეოგრაფია ფართოვდება

რუსეთის ფედერაციის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის ფინალმა ვოლგის ნაპირებსაც მიაკითხა — 6 მარტს გორკში დაიწყო გადამწყვეტი შეჯიბრებები ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში.

მონაწილეთა შორის არიან ცნობილი „მფრინავი მოთხილამურეები“ — მსოფლიო ჩემპიონი გ. ნაპალკოვი (გორკი) და ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ბელოუსოვი (ლენინგრადი), ორჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები ნ. ნოგოვიცინი (კემეროვო), გ. დრიაგინი (კრასნოიარსკი) და სხვა სახელგანთქმული სპორტსმენები.

პირველად სტარტი აიღეს ორჭიდელებმა. ლიდერობა ხელთ იგდო კიროველმა ი. კოზულინმა, რომელმაც მცირე, 55-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 223 ქულა დააგროვა (ნახტომები — 58 და 59 მ).

ნოგოვიცინმა უხეიროდ შეასრულა პირველი ნახტომი, მაგრამ მეორე ცდისას მდგომარეობა გამოასწორა და დღის საუკეთესო შედეგი გაიმეორა. სწორედ ამის წყალობით იგი ახლა II ადგილზეა — 206,5 ქულა (54,5 და 59 მ).



წარმატებით გამოვიდნენ ესტონელი ორჭიდელები. 15-კილომეტრიანი რბოლის წინ ტ. ტამს 202,5 ქულა (56 და 56 მ) აქვს, ხოლო მის თანაკლუბელ ტ. ხალიანდს — 199 (55,5 და 56 მ). ეს სპორტსმენები შესაბამისად III და IV ადგილებზე არიან. დრიაგინი ჯერჯერობით XI ადგილზეა.

ჩელიაბინსკში სპარტაკიადის მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ ფიგურისტები, რომელთა შორის ასპარეზობენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები — ლენინგრადელები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი.

* * *

სურათზე: 30-კილომეტრიან სათხილამურო რბოლაში გამარჯვებული ვ. ვორონკოვი (მოსკოვი) შეჯიბრების დროს. მან ეს მანძილი 1 საათში, 38 წუთსა და 24 წამში გაირბინა და რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონის სახელიც მოიხვეჭა.

ტელეფოტო ბ. კლიპინიცერისა (საკდესი).

## გურჯაანი

სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლაში დამთავრდა სასკოლო სპარტაკიადა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი. კალათბურთში, ფრენბურთსა და ფეხბურთში გაიმარჯვეს X (მეორე) კლასის მოსწავლეებმა. მაგიდის ჩოგბურთელთა პირად პირველობაში თავი ისახელა ნ. ჯალალოვმა.

ო. ოდიშელიძე.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

## თბილისის სპორტული ცხოვრება

ქალთა XV ტრადიციული სპარტაკიადა. **დღეს:** **მაგიდის ჩოგბურთი.** თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის დარბაზი. დასაწყისი 18 ს. **ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. 18 ს. **ბადმინტონი.** 26 კომისრის რაიონის სპორტდარბაზი. 18 ს.

**წყალბურთი.** ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საცურაო აუზი. **დღეს:** ქალაქის პირველობა. დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03178